სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „ნიუ ჯეო როუდი“, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში, გეგმავს ასფალტის საწარმოს (ასფალტ-ბეტონის ნარევის დამზადება) მოწყობას და ექსპლუატაციას.

საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-2 დანართის 5.1 და 5.3 პუნქტების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება და ასფალტის წარმოება განეკუთვნება სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, თუმცა, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ საქმიანობის განმახორციელებელი მიიჩნევს, რომ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-8 მუხლის გათვალისწინებით, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სკოპინგის განსხადებას სკოპინგის ანგარიშთან ერთად.

დანართი:

1. შპს „ნიუ ჯეო როუდი“-ს სასარგებლო წიაღისეული გადამუშავების და ასფალტის საწარმოს სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზ. ნაბეჭდი ვერსია;
2. საქმიანობის განხორციელების GIS კოორდინატები shp ფაილების სახით და სკოპინგის ნაგარიშის ელ. ვერსია - 1 CD.

პატივისცემით,

გიორგი კუხალაშვილი

შპს „ნიუ ჯეო როუდი“-ს დირექტორი.

29.07.2022

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„29“ 07 2022 წ.
№ 3692